სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140749284
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.07.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნათელა გაგაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქ. წამებულის N92
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2774500;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	19325834335614

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თოთხმეტი წლის ჩვიდმეტ ივლისს, მე, ნოტარიუსს ნათელა გაგაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ქ.წამებულის №92-ში, პირველ სართულზე, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, **ბატონმა გოჩა ლომიძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „მერიდიანი 2007“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206284876) დირექტორი, სურს თანხმობის ორი ეგზემპლარის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბატონმა გოჩა ლომიძემ (დაბ. 03.07.1963წ. პირადი №01020004221, მცხ.: თბილისი, ც. დადიანის II შეს. №4-ში) მომმართა.

მე დავადგინე მისი უფლებამოსილება, რომ იგი ნამდვილად არის შპს „მერიდიანი 2007“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206284876) დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14060976, 17/06/2014 10:07:00).

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა, განვუმარტე მას, რომ თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტისა „ნოტარიუსი განცხადების დამოწმებისას ადასტურებს, რომ განცხადება და/ან ხელმოწერა მასზე უშუალოდ განმცხადებელს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათზე. ასევე, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტისა, „გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა.“ აღნიშნული განმარტების შემდეგ, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობის ორ ეგზემპლარზე, რასაც ვამოწმებ. (და არა თანხმობაში აღნიშნული ფაქტის სინამდვილეს).

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, გოჩა ლომიძე (დაბ. 03.07.1963წ.), როგორც შპს „მერიდიანი 2007“-ს (ს/კ: 206284876) დირექტორი და უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქ.წამებულის გამზ. №71-ში (ს/კ: 01.17.12.005.026), თანახმა ვარ შპს „მერილიონმა“ (ს/კ: 406122869), როგორც უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, გამზირი ქ. წამებულის №71-ში (ს/კ: 01.17.12.005.024) მესაკუთრემ, მის ტერიტორიაზე აშენებულ შენობა-ნაგებობაზე, თავის მხარეს მოაწყოს (ამოჭრას) ნებისმიერი რაოდენობის ფანჯრის ღიობები და აწარმოოს კანონით ნებადართული ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოები.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: შვიდი (7.00) ლარი, აქედან: საზღაური – ხუთი (5,00) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 31-ე მუხლის მე-3 და მე-14 პუნქტებისა და ორი (2.00) ლარი - ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 39-ე მუხლის I პუნქტისა.

ხელისმოწერა: გოჩა ლომიძე

ნოტარიუსი: ნათელა გაგაძე